

# აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

*სილადაძე დალი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Modern Situation and Perspectives for the Development of Agrarian Sector

*Silagadze Dali – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** Introduction and the aim of the research: Georgia is a traditional agrarian country, more than half of the population lives in rural areas, where low-production, sufficient and self-sufficient agriculture is the main source for living. The most of agricultural land is not used. That is why it is necessary to study the situation in agrarian sector and plan perspectives.

The aim of the research comes from the fact that crop capacity and productivity has decreased in the last ten years in agricultural sector. Because of not having policy and strategy in agrarian sector the development of the field was delayed which caused poverty of rural population. Accordingly we tried to study current problems and find out what strategy should be passed by the government.

**Research methodology:** The process, which had a negative influence on the development of agriculture, is reflected in this paper; there are also given governmental decisions and the strategy of development in 2012-2022.

**Results and implications:** The research showed the amount of agricultural production, agricultural land, plant-growing production, the share of family agriculture in producing plant-growing.

**Conclusion:** In conclusion, we can say that the development of agriculture has an important role in saving rural population. A village seriously depends on the sources from agriculture and state transfers. Agricultural share in whole economy is low but it is an important source to help the minority of the population. For taking these problems into consideration the government should solve the problem to change the situation.

**Keywords:** agrarian sector, agriculture, crop capacity, productivity, agricultural crops, plant-growing, strategy, branches

**მესავალი და მიზანი:** საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა, მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, სადაც დაბალ პროდუქტიული, თვითკმარი და ნახევრად თვითკმარი ფერმერული მეურნეობები ცხოვრების ძირითადი წყაროა. სასოფლო-სამეურნეო მიწების მზარდი წილი გამოუყენებელი რჩება. ამდენად, აუცილებელია აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლა და პერსპექტივების დასახვა.

კვლევის მიზანი გამომდინარეობს იქედან, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორში თანდათანობით შემცირდა მოსავლიანობა და პროდუქტიულობა, აგრარულ სექტორში პოლიტიკის თუ სტრატეგიის უქონლობის გამო, და საერთოდ შეფერხდა დარგის განვითარება, რამაც სოფლის მოსახლეობის სიღარიბე გამოიწვია. ამდენად შევეცადეთ შეგვესწავლა დარგში არსებული პრობლემები და გვენახა რა სტრატეგიის გატარებას აპირებს მთავრობა.

**კვლევის მეთოდოლოგია:** საკვლევ თემაში ასახულია ყველა ის პროცესი, რამაც ნეგატიური კვალი დაამჩნია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, ასევე მოცემულია სამთავრობო გადაწყვეტილებები და დარგის განვითარების სტრატეგია 2012-2022 წლებში.

**შედეგები და გამოყენება:** კვლევის შედეგად დადგინდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა წლების მიხედვით (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი), სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები,

მემცენარეობის პროდუქციის წარმოება, ოჯახური მეურნეობების წილი მემცენარეობის პროდუქტების წარმოებაში.

**დასკვნა:** დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისათვის. სოფელი სერიოზულადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობისაგან მიღებულ საარსებო წყაროებზე და სახელმწიფო ტრანსფერებზე. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან ეკონომიკაში დაბალია მაგრამ იგი მოსახლეობის უმრავლესობისათვის დახმარების მნიშვნელოვანი საშუალებაა და ამდენად, აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით ხელისუფლებამ გარკვეული მუშაობა უნდა გასწიოს არსებული მდგომარეობის შესაცვლელად.

**საკვანძო სიტყვები:** აგრარული სექტორი, სოფლის მეურნეობა, მოსავლიანობა, პროდუქტიულობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მემცენარეობა, სტრატეგია, მიმართულებები

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, სადაც დაბალპროდუქტიული, თვითკმარი და ნახევრად თვითკმარი ფერმერული მეურნეობები ცხოვრების ძირითადი წყაროა. სასოფლო-სამეურნეო მიწების მზარდი წილი გამოუყენებელი რჩება. ამდენად, აუცილებელია აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლა და პერსპექტივების დასახვა.

უკანასკნელ პერიოდში აგრარული პროფილის დარგებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის იგნორირებამ ნეგატიური კვალი დაამჩნია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების სასწავლო უნივერსიტეტებში უმნიშვნელო მეცნიერული კონტიგენტის შერწყმამ ვერ გამოიღო სათანადო შედეგი, მოიშალა კავშირი მეცნიერებასა და წარმოებას შორის, მნიშვნელოვნად შემცირდა გლეხის, ფერმერის ცოდნის დონე, რის გამოც დაბალია მცენარეთა და ცხოველთა პროდუქტიულობა და წარმოება შესაბამისად არარენტაბელურია.

სანაშენე საქმიანობის უგულვებელყოფამ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაკნინება გამოიწვია. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ხარისხიანი თესლი და სარგავი მასალები. მოშლილია სანერგებისა და მეთესლეობა-ჯიშმცოდნეობის სისტემა. იგნორირებულია ხარისხის კონტროლი, არ არსებობს სტანდარტები და სერთიფიცირების ორგანო. არასათანადო ყურადღება ეთმობა ბიოაგროწარმოებას, დარგების ეკონომიკურ ანალიზს, სტრატეგიულ კვლევას და პრიორიტეტული მიმართულებების პოლიტიკის განსაზღვრას, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა მოვლის მეცნიერულად დასაბუთებული ტექნოლოგიების კვლევა დანერგვას, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის, მავნებელ ავადმყოფობებისაგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდების შემუშავება-გამოყენებას. ცხოველთა სანაშენე და პროდუქტიული თვისებების გენეტიკური პოტენციალის გაუმჯობესებას. სურსათის, ცხოველის საკვების, ვეტერინარიის, ნიადაგის, მცენარეთა დაცვის სფეროში რისკებთან დაკავშირებული ფაქტორების კვლევა შეფასებას და სხვა. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორში თანდათანობით შემცირდა მოსავლიანობა და პროდუქტიულობა, აგრარულ სექტორში პოლიტიკის თუ სტრატეგიის უქონლობის გამო. მთავრობას სექტორი მიტოვებული ჰქონდა, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად იგი მხოლოდ სიტყვიერად ჰქონდა გამოცხადებული. ჩაურევლობის ამ მიდგომას თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება, რაც გამოიხატებოდა ნათესი მიწების ფართობების შემცირებით და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების დაკლებით. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად შემცირდა (1999 წელს 25 %. 2012 წელს 9,3 %).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის კლება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების უქონლობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

სოფლის მეურნეობა გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისათვის. ამ სექტორში დასაქმებულად კვალიფიცირებულთა შორის 95 % წვრილი ფერმერია, რომლებსაც ჩვეულებრივ 1,2 ჰა მიწის ნაკვეთი და 2 ძროხა ჰყავთ. მიჩნეულია, რომ ასეთი ოჯახები მიეკუთვნებიან საარსებო საშუალებათა

მქონეთა ან ნაწილობრივ მქონეთა კატეგორიას. სოფლად შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოიწვია რემიტენციების ზრდამ, რომლებსაც საქართველოს გარეთ მცხოვრები და მომუშავე ემიგრანტები აგზავნიან, რაც სოფლის მოსახლეობაზე სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის ზემოქმედებას ამცირებს.

საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია. ქვეყანაში სიღარიბის ხანგრძლივი მაღალი დონის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის კრახი. სავარგულების საერთო რაოდენობა 43%-ით შემცირდა, ასევე შემცირდა ერთ ჰექტარ სავარგულზე საშუალო პროდუქციის რაოდენობაც.

აგრარულ სექტორს კვლავ განსაკუთრებული როლი ეკისრება, მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა სექტორის წილი მშპ-ში, საგარეო სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებში, დასაქმების გაზრდაში და სიღარიბის შემცირებაში.

სოფელი სერიოზულადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობისაგან მიღებულ საარსებო წყაროებზე და სახელმწიფო ტრანსფერებზე. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან ეკონომიკაში დაბალია, მაგრამ იგი მოსახლეობის უმრავლესობისათვის დახმარების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ქვეყანა ძირითად იმპორტზეა დამოკიდებული.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით ხელისუფლებამ გარკვეული მუშაობა გასწია აგრარულ სექტორში და მდგომარეობა მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ შეიცვალა.

თუ გადავხედავთ სოფლის მეურნეობის პროდუქციას (მიმდინარე ფასებში მლნ. ლარი) 2007 წელთან შედარებით 2013 წელს იგი გაიზარდა 41,2%-ით (2007 წელს-2250.9 2013-3179.9). მ.შ. მემცენარეობაში 21,7 %-ით (2007-1051.7 2013-1280.9). მეცხოველეობაში 54,8 %-ით (2007-1138.8 2013-1763.9). მომსახურება 122.9%-ით (20060.5 2013-134.9).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში, ათასი ჰექტარი) 2007 წელთან შედარებით 2013 წელს გაიზარდა უმნიშვნელო რაოდენობით 4,5 %-ით. გაიზარდა მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობები( ქერი, სიმინდი, ლობიო) შემცირდა ხორბლის ნათესი ფართობი 2012 წელს იყო 50.0 ჰექტარი, ხოლო 2013 წელს 45.0 ჰექტარი, ანუ შემცირდა 10 %-ით.

რაც შეეხება მემცენარეობის პროდუქტების წარმოებას (საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში, ათასი ტონა) უმნიშვნელოდ გაიზარდა სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ბოსტნეულის, ციტრუსების, ყურძნის წარმოება. აქვე უნდა აღნიშნოთ ისიც, რომ დაბალია საჰექტარო მოსავლიანობა.

მემცენარეობის პროდუქციის წარმოებაში დიდია ოჯახური მეურნეობების წილი. ლობიოს, კარტოფილის, ბაღჩეულის, ხილის, ციტრუსების პროდუქტებს მთლიანად (100%) ოჯახურ მეურნეობებში აწარმოებენ, ასევე სიმინდის, ბოსტნეულის, ყურძნის 96 %-ტი.

რაც შეეხება მეცხოველეობის დარგს გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში, ცხვრისა და თხის სულადობა, ფრინველის რაოდენობა, მაგრამ 73,9%-ით შემცირდა 2013 წელს ღორის სულადობა 2007 წელთან შედარებით. აქაც ძირითადად სულადობის ზრდა მოხდა ოჯახურ მეურნეობებში, თუმცა შემცირდა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

სოფლად არაფერმერული სექტორი მცირეა და ძირითადად მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისაგან შედგება. მონაცემებში სოფლისა და ურბანული საწარმოები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. რეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმოები სასოფლო არაფერმერული სექტორის შემცვლელად გამოიყენება. არაფერმერულ სექტორში, რაოდენობის თვალსაზრისით, კერძო ინდივიდუალურ პირთა მფლობელობაში მყოფი საწარმოები ჭარბობს. რეგიონებში არაფერმერულ საწარმოთა უმრავლესობა მცირე (89%) ან საშუალო (11%) საწარმოებია და მათი უმრავლესობა (77%) ვაჭრობაშია ჩართული.

სასოფლო-სამეურნეო მიწების 75 % კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა, მაგრამ მათი გაყიდვა დასშვებია. საქართველოს მთავრობა მიწას ინტერნეტში საჯარო აუქციონის წესით ყიდის ([www. Privatization.ge](http://www.Privatization.ge), [www.eauqtion.ge](http://www.eauqtion.ge)). სახნავი მიწების 55 % უკვე პრივატიზებულია.

სოფლის მეურნეობის სექტორზე არ გავრცელებულა არც მაკროეკონომიკური რეფორმები და არც ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება. სექტორის რეფორმების შედეგად არ გაუმჯობესებულა პროდუქტიულობა, რომელიც სტაგნაციას განიცდის. სექტორმა რეაგირება ვერ მოახდინა ვერც ინტენსიურ კონკურენციაზე, რომელიც ვაჭრობის რეფორმებმა მოიტანა, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და გლეხური ტიპის მეურნეობების ხარვეზებით.

მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობამ საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში უფრო დომინანტური ადგილი დაიკავა, მის მიმართ მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება დაიწყო ბიზნეს სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სამოქალაქო საზოგადოების სექტორმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ (რომელიც საქართველოში მნიშვნელოვან საკუთრებას და მიწას ფლობს) ამან ხელი შეუწყო 2012-2022 წლებისათვის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის მომზადებას. სტრატეგიის განვითარებაში ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ევროკავშირის პრიორიტეტიცაა, რომელიც გათვალისწინებულია 2012 წლის აგრარული და სასოფლო განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამაში (ENPARD)

ევროკავშირის პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ENPARD-ის დამოუკიდებელ ანგარიშში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა წინ, რაც გულისხმობს 888 ფერმერული კოოპერატივის ჩამოყალიბებასა და 54 რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნას.

როგორც "ინტერპრესნიუს" ENPARD-იდან აცნობეს, სოფლის მეურნეობის პროდუქტი წინა წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, 10%-ით გაიზარდა.

მათივე ინფორმაციით, მთავრობა ევროკავშირისგან მიიღებს ფინანსურ მხარდაჭერას, რაც 8 მილიონი ევროს ოდენობით განისაზღვრება. აღნიშნული მხარდაჭერა განხორციელდება ENPARD-ის ფარგლებში.

სტრატეგიის განხორციელების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ევროკავშირთან, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 3-4 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მუშაობს, სადაც აღწერილი იქნება კონკრეტული შედეგები, აქტივობები, პროექტები, ბიუჯეტები, შესრულების ვადები და შეფასების კრიტერიუმები. სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ძირითადი ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაა, მცირე შინა მეურნეობების გაძლიერებისა და მომგებიანი წარმოების ქსელის ფორმირების მეშვეობით.

უკვე დამტკიცებული სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგია საქართველოს სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამის წინაპირობაა. სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის სტრატეგიის განხორციელებას. მისი მიზანია სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის კონკრეტული ამოცანები საქართველოში აგრარული სექტორის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, სექტორის სტრატეგიის განხორციელებისათვის მხარდაჭერით და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცებით.

**სოფლის მეურნეობის სტრატეგიით განსაზღვრული განვითარების მიმართულებები:**

**ხედვა:** ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი სასოფლო-სასურსათო სექტორი.

**მისია:** სოფლის მეურნეობის განვითარება ღირებულებების ქსელის გაუმჯობესების მეშვეობით.

**სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:**

- მეწარმეთა და ფერმერთა კონკურენტუნარიანობის განმტკიცება
- სექტორის ინსტიტუციური განვითარება
- ღირებულების ქსელის განვითარება
- რეგიონული და აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარება
- სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

**დასკვნის** სახით გვინდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისათვის. სოფელი სერიოზულადაა დამოკიდებული სოფლის

მეურნეობისაგან მიღებულ საარსებო წყაროებზე და სახელმწიფო ტრანსფერებზე. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან ეკონომიკაში დაბალია, მაგრამ იგი მოსახლეობის უმრავლესობისათვის დახმარების მნიშვნელოვანი საშუალებაა და ამდენად აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით ხელისუფლებამ გარკვეული მუშაობა უნდა გასწიოს არსებული მდგომარეობის შესაცვლელად.

და ბოლოს-საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსთვის, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება ცხოვრების ღირსეული გარემო, საშუალება გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული წევრი.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი [www. Srca.gov.ge](http://www.Srca.gov.ge);
2. ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა - სოფლის მეურნეობისა და სოფლის სექტორების განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორების ქვეყნებში. საქართველო;
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადლეული - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური თბ. 2014.